## რესურსები

- UG STARTUP FACTORY
- DISCOVER GEORGIA FOR UG
- ევროპის ინოვაციის აკადემიის საზაფხულო
- ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი
- კომპიუტერული ლაბორატორია



## საქართველოს უნივერსიტეტი

77, მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო
www.ug.edu.ge
2 55 22 22



## ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა



## რატომ საქართველოს უნივერსიტეტი?

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი. საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ლაღად და მყარად გრძნობენ თავს კონკურენტულ გარემოში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში არსებულ მულტიკულტურულ გარემოში ყალიბდება ჰუმანური ღირებულებების მქონე მოაზროვნე, განათლებული პიროვნება, რომელიც თავისუფლად უმკლავდება დღევანდელ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია, რომლის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი კურსდამთავრებული მოთხოვნადია თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც მათი დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.



## მარიამ კვანტალიანი - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული

აქ გატარებულ 4 წელს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი პროფესიული წინსვლისთვის. სტუდენტობის პერიოდში სწავლის გარდა აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა სტუდენტურ კლუბებში და პროექტებში. უკვე მესამე კურსიდან დავიწყე სრულ განაკვეთზე მუშაობა ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა მსოფლიოს წამყვან საკონსულტაციო კომპანია - დელოიტში გავაგრძელე.

2 წლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ დელოიტიდან წამოსვლა საპატიო მიზეზის გამო მომიხდა - მივიღე ამერიკის მთავრობის სრული დაფინანსება (ფულბრაიტის პროგრამა) მაგისტრატურაზე სწავლისათვის. ამჟამად ოფიციალურად MBA სტუდენტი ვარ და სწავლას ვაგრძელებ NEW-YORK-ში.

მიმაჩნია რომ საქართველოს უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ და სტუდენტურმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემი კარიერის ამგვარ განვითარებაში.

# პროგრამები

## საბაკალავრო

- ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციით ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგ)
- ეკონომიკა
- საჯარო მმართველობა
- ტურიზმი



## სამაგისტრო

- ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციით ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგ)
- საჯარო მმართველობა

## სადოქტორო

- ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციით ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)








## შემოუერთდი ბიზნეს ლიდერების ჯგუფს

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა გთავაზობთ პროგრამებს, რომლებიც შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა არის მენეჯმენტის განვითარების ევროპული ასოციაციის, (CEEMAN) ბიზნეს სკოლების ასოციაციისა (AACSB) და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლებისა და ინსტიტუტების ქსელის (NISPAcee) ინსტიტუციური წევრი საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართულებით. აღნიშნული ასოციაციების წევრობა ნიშნავს იმას, რომ პროგრამები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე.

სკოლა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში, საერთაშორისო პროგრამებში, სემინარებსა და ვორქშოფებში მონაწილეობას, ხელს უწყობს სტუდენტების სამეწარმეო ინიციატივებს და აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს.

